ჰოლონეთის დახმარება

საზოგადოებრივი დახმარების სახლი „გაზაფხულის მიჯნაზე"

ისტორია.....

მენძილეშე არის ვარშავის უმშვენიერესი დასახლება. დღესდღეობით ეს სახელი ასოცირდება ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრის საავადმყოფოსთან.

მენძილეშეს ისტორია სწვდება XVI საუკუნის მეორე ნახევარს. ამ პერიოდში, მდინარე ვისლას აღმოსავლეთ სანაპიროს სწრაფი დასახლების გამო, დაარსდა დასახლება კაჩოვო. 200 წლის შემდეგ, ამ ადგილზე დაარსდა სოფელი კაჩი დულ.

ვისლისპირა რკინიგზის მშენებლობამ და მეზობლად მდებარე ვავჟეში 1877 წელს რკინიგზის სადგურის მშენებლობამ გამოიწვია კაჩი დულის ქარხნების აგლომერაციად გარდაქმნა. 1900 წელს აშენდა კერბეჯის ხიდისა და ვავჟის შემაერთებელი რკინიგზა. 1924 წელს კაჩი დული მიუერთდა ახლად წარმოქმნილ ქალაქს სახელად ფალენიცა-ლეტნისკო.

1932 წლს, რკინიგზის სადგურის მშენებლობის დროს, კაჩი დულს დაერქვა სახელი მენძილეშე. ოტვოცკში მიმავალი რკინიგზის ელექტრიფიკაციამ 1936-1937 წლებში გამოიწვია მენძილეშეს ვარშავასთან მჭიდრო დაკავშირება.

1938 წელს, ბავშვთა და მოზარდთა დახმარების, დედაქალაქის კომიტეტმა, მენძილეშეს ტერიტორიაზე შეიძინა ტყის მასივი, რათა მომხდარიყო ბავშვთა და მოზარდთა პანსიონატის მშენებლობა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ამ გეგმას.

საზოგადოებრივი დახმარების სახლი „გაზაფხულის მიჯნაზე” დაარსდა 1970 წლის 5 მარტს.

სახლის სიმბოლო არის „მერცხალი", რომელიც არის მოსახლეობის კეთილდღეობისა და მათი ბედნიერების უფლების ნიშანი.

ვის ვეხმარებით

საზოგადოებრივი დახმარების სახლი „გაზაფხულის მიჯნაზე", არის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც განკუთვნილია 95 გონებრივად უნარშეზღუდული პირისათვის - ბევშვების, მოზარდებისა და ზრდასრული ადამიანებისათვის. ჯერ კიდევ 2012 წელს აღნიშნული დაწესებულება იტევდა 167 ადგილს, მაგრამ დეინსტიტუციონალიზაციის კონვენციის გათვალისწინებით, მოხერხდა მისი გაყოფა 2, შედარებთ მცირე ნაწილად.

სდს განთავსებულია შემოღობილ ტყის მასივზე ფართობით 15.255 მ2. სახლს წარმოადგენს ერთსართულიანი, ასო „U"-ს ფორმის შენობა. ერთი ფრთა განკუთვნილია კაცებისათვის, ხოლო მეორე ქალებისათვის.

დღეისათვის დაწესებულება მასპინძლობს 98 ადამიანს. 46 ქალს და 52 მამაკაცს. მათი უმეტესობა დაავადებულია ერთზე მეტი დაავადებით. პაციენტების ასაკობრივი დაყოფა შემდეგია:

0-18 წლის – 4 პირი

19-40 წლის – 40 პირი

41-60 წლის – 51 პირი

61-64 წლის – 3 პირი

სახლის შემადგენლობაში შედის:

- მუდმივი საცხოვრებელი, ე.წ. საზოგადოებრივი დახმარების სახლი
- ორი საცხოვრებელი ჰოსტელი: ქალთა ჰოსტელი გათვლილი 6 ადამიანზე და მამაკაცების ჰოსტელი, რომელიც გათვლილია 8 ადამიანზე. ჰოსტელებში ცხოვრობენ ყველაზე დამოუკიდებელი პირები.
- შრომითი თერაპიის განყოფილება
- დაცული საცხოვრებლები
- ამას გარდა, ამ ტერიტორიაზე მოქმედებს სპეც სკოლა. სკოლის მეცადინეობებში მონაწილეობენ, როგორც სახლის მაცხოვრებლები, ასევე ახლომდებარე დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლები. სახლის მკვიდრთათბის სკოლის მეცადინეობებში მონაწილეობა სავალდებულოა.

გუშინ.....

და დღეს.....

საზოგადოებრივი დახმარების სახლი ჰოსტელებით

დაწესებულება მაცხოვრებლებს სთავაზობს მომსახურეობებს :

- საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა: საცხოვრებელი ადგილი, კვება, ტანისამოსი, სისუფთავის დაცვა;
- მოვლა, რომლიც მოიცავს: დახმარებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მკურნალობას, დახმარებას პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საქმეებში;
- გვერდში დგომა და ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს: შრომით თერაპიაში მონაწილეობის მიღების საშუალება, სახლის მაცხოვრებლების ფიზიკური აქტივობის ამაღლებას, რელიგიური და კულტურული სურვილების რეალიზაციის საშუალებას, მაცხოვრებელთა თვითმმართველობის ჩამოყალიბების საშუალებას, ოჯახთან და საზოგადოებასთან კავშირის სიმულაციასა და შენარჩუნებას.
- დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების მსურველთვის, დახმარება სამსახურის პოვნაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასაქმებას ააქვს თერაპიის სახე,
- ფასეული ნივთებისა და ფულის უსაფრთხოდ შენახვის საშუალება,
- იმ პირების აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ფინანსური სახსრები,
- დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის უზრუნველყოფა, და წესების შესახებ მაცხოვრებელთა ინფორმირება,
- მაცხოვრებელთა საჩივრების მიღება და შეძლებისდაგვარად მოგვარება.

თერაპია

1. ინტენციონალური თერაპია (კომუნიკაცია ჟესტებისა და სიმბოლოების საშუალებით)
2. პოლისენსორული სტიმულაცია (ინსტინქტების დახვეწა: მხედველობა, სმენა, წონასწორობა, შეხება, ყნოსვა და გემო)
3. ჩ. კლინის აქტივობის მეთოდი (საკუთარი სხეულისა და საკუთარი თავის შეგრძნებასთან დაკავშირებული ორიენტაციის ჩამოყალიბება)
4. ვ. შერბორნის მოძრაობით განვითარების მეთოდი (სხეულისა და საკუთარი თავის შეგძნების სქემაში ორიენტაციის ჩამოყალიბება, უსაფრთხოების შეგრძნების ჩამოყალიბება)
5. მუსიკალურ-რითმული მეცადინეობები (ემოციების გაღვიძება, ექსპრესიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ესთეტიური და შემეცნებითი მოთხოვნილებების გაღვივება, დაწყნარება, სიმყუდროვე)
6. აფოლტერის დაჯილდოების მეთოდი (საკუთარ თავში თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება, ყოველი მცირე წარმატების შექება და წარუმატებლობების იგნორირება)
7. კლანზის მეთოდი (ცეკვა თავსაფარზე, თამაშები ბურთით, მარტივი ჯგუფური თამაშები)
8. საზოგადოებრივი თერაპია
9. ბიბლიოთერაპია
10. მეთოდი აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

თერაპიულ-მომვლელობითი ჯგუფის მუშაობა

ამ ჯგუფის მეცადინეობა არ შემოიფარგლება თერაპიული მეცადინეობებით, არამედ მოიცავს ასევე:

- მაცხოვრებლების დახმარებას საყოფაცხოვრებო ქმედებების შესრულებაში: დახმარება საკვების მიღების დროს, ვარჯიში დამოუკიდებლად კბილების გახეხვასა და ბანაობაში, აქტივობის ამაღლება დილით ადგომის დროს.

- ისეთი პრობლემების გადაჭრას როგორებიცაა: კონფლიქტები, მაცხოვრებლის აგრესიული მოქცევა, მეცადინეობაზე წასვლაზე უარის თქმა, ოჯახთან კონტაქტის უზრუნველყოფა და ზედამხედველობა.

- კონსულტაციებს მაცხოვლებელთა ოჯახის წევრებტან (საუბარი ძირითადად ეხება მაცხოვრებელს, წარმოშობილ პრობლემებს, აქტუალურ საკითხებსა და ს.შ., მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც საუბარი შეეხება თვით მშობლებს და მათ ცხოვრებისეულ პრობლემებს)

ეფექტური მომსახურეობები

ჩვენი მომსახურეობების ეფექტურობის წინაპირობებია:

- სახლის ყოველ 100 მაცხოვრებელზე მინიმუმ ორი სპეციალისტის დასაქმება სრულ განაკვეთზე;

- მაცხოვრებლების ფსიქოლოგსა და ფსიქიატრთან კონტაქტის უზრუნველყოფა;

- თერაპიულ-მომვლელობითი პერსონალის თანაფარდობა სახლის მაცხოვრებლებთან მიმართებაში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 0,6-სს - ჩვენს სახლში თანაფარდობა შეადგენს 0,7-ს

- თერაპიულ-მომვლელობითი ჯგუფის ყველა წევრმა, მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ უნდა მიიღონ მონაწილეობა სახლის დირექტორის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მაცხოვრებელთა უფლებებისა და თერაპიის მიმართულებების შესახებ.

სკოლოს გაკვეთილები

როგორც სახლი გონებრივად უნარშეზღუდული ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ზემოთ ხსენებული მომსახურეობების გარდა, მაცხოვრებლებს ვთავაზობთ შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

1) ზოგადი განათლების მიღება;
2) სარევალიდაციო-აღმზრდელობითი მეცადინეობები;
3) ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე აღზრდა და განათლება.

ჩვენი სახლის ტერიტორიაზე, უკვე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მოქმედებს სპეცსკოლების ჯგუფი. სკოლები წარმოადგენს სახლისაგან დამოუკიდებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. დასაწყისში, სკოლაში სწავლობდნენ მხოლოდ სახლში მცხოვრები ბავშვები და მოზარდები, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიწყო მოსწავლეების შემოდინება სახლის გარედანაც. ამ ფაქტმა იხსნა სკოლა დახურვისაგან და დააკმაყოფილა მეზობლად მყოფი საცხოვრებელი პუნქტების მკვიდრი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნები.

სკოლა

იმისათვის, რომ მომხდარიყო საზოგადოებრივი დახმარების სახლის მკვიდრთათვის მოვალეობების შესრულების პროცესის გამარტივება, განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით 1972 წელს სახლის ტერიტორიაზე გაიხსნა ე.წ. ცხოვრების სკოლის ერთი კლასი. 1973 წელს გაიხსნა მეორე ხოლო 1975 წელს მესამე კლასი. 2000 წელს დაარსდა სკოლების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა საშუალო სპეც სკოლა და საჯარო პროფესიული სკოლა. ორი წლის შემდეგ დაარსდა სპეციალური დანიშნულების გიმნაზია. 2004 წელს დაარსა სამუშაოსათვის შემამზადებელი სკოლა.

დღესდღეობით სკოლა თავის მომსახურეობებს სთავაზობს 74 გონებრივად უნარშეზღუდულს ბავშვსა და მოზარდს, მათ შორის: საშუალო უნარშეზღუდვის, მძიმე უნარშეზღუდვის მქონე და 4 მცირე ასაკის ბავშვს. ბავშვები წარმოადგენენ სკოლაში მოსწავლე პირთა მხოლოდ მცირე ნაწილს.

სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის არსებობს სკოლის სავალდებულო პროგრამის გახანგრძლივების შესაძლებლობაც:

- 18 წლამდე - საშუალო სკოლის დონეზე
- 21 წლამდე - გიმნაზიის დონეზე
- 24 წლამდე - გიმნაზიის შემდგომი სკოლის დონეზე

ინტელექტუალურად უნარშეზღუდული ბავშვებისათვის შესაძლებელია ერთი წლით სწავლის პერიოდის გაგრძელება ნებისმიერი ტიპის სკოლაში.

კლასები

ყოველი კლასი აღჭურვილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე სრულად მორგებული კომპიუტერებით, პროგრამული უზრუნველყოფითა და მოწყობილობებით. სასწავლო პროცესის გაადვილების მიზნით, მასწავლებლებს ააქვთ წვდომა სხვადასხვა სახის ხელსაწყოებზე, მათ შორის მულტიმედიურ დაფებზე.

სკოლაში არის ასევე საღონისძიებო დარბაზი, აღჭურვილი აუდიოვიზუალური აპარატურით.

ფიზიკური მეცადინეობები ტარდება სარეაბილიტაციო-სავარჯიშო აღჭურვილობით აღწურვილ დარბაზში, ხოლო განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის შექმნილია სამყაროს აღქმის და გამოცდილების მიღების დარბაზი - Snoezelen.

ინდივიდუალური სწავლება

ინდივიდუალური სწავლების პროგრამა განკუთვნილია იმ ბავშვებისათვის, რომელთათვისაც სკოლაში სიარული შეუძლებელია ან დიდ სირთულეს წარმოადგენს.

ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება ხდება შესაბამისი მიმართვის მქონე ბავშვებისათვის. ამგვარი კურსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მიმართვაში მითითებულ დროზე. მიმართვებს გასცემს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საკონსულტაციო ცენტრები.

ინდივიდუალურ მეცადინეობებს ატარებს ერთი ან რამდენიმე მასწავლებელი. ამგვარი მეცადინეობები ტარდება სახლში არსებულ ბინებში ან ამისათვის მომზადებულ სპეციალურ ოთახებში

სამუშაოსათვის შემზადება

ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების ყოველმხრივ მომზადება ყოველდღიური ცხოვრებისათვის (რა თქმა უნდა მათი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისად), რათა შეძლონ თავის დამკვიდრება საზოგადოებაში. სწავლების ხანგძლივობა არის 3 წელი, მაგრამ არსებობს კურსის ერთი წლით გაგრძელების შესაძლებლობაც.

მეცადინეობები მოიცავს:

- ფუნქციონირება პირად ცხოვრებასა და საზოგადოებაში
- ინდივიდუალური რევალიდაცია
- ფიზკულტურა
- კრეატიულობის ჩამოსაყალიბებელი მეცადინეობები
- სამუშაოსათვის შემზადება: საოჯახო მეურნეობა, მებაღეობა, საოფისე სამუშაოები, კერვა და ხელოსნობა.



შრომითი თერაპიის განყოფილება

1995 წლიდან მოქმედებს, საზოგადოებრივი დახმარების სახლ „გაზაფხულის მიჯნასთან“ არსებული, შრომითი თერაპიის განყოფილება. მეცადინეობებში მონაწილეობენ, როგორც სახლის მაცხოვრებლები (30 ადამიანი) , ასევე გარეშე პირებიც (30 ადამიანი). მეცადინეობებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, მხოლოდ პირებს, რომელთა ასაკი აღემატება 16 წელს და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ დადგენილებაში მითითებული აქვთ ამგვარ მეცადინეობებში მონაწილეობის მიღების რეკომენდაცია.

დაწესებულება ფუნქციონირებს დღის საათებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩართვლით, საათებში 8:00- 16:00). თუ არსებობს ამის საჭიროება (ექსკურსიები, ღონისძიებები და ა.შ.) დაწესებულება მოქმედებს უქმე დღეებშიც.

შრომითი თერაპიის განყოფილების მიზანი

შრომითი თერაპიის განყოფილების მიზანია: რეაბილიტაცია საერთო განვითარების მიღწევის მიზნით, პაციენტის საკუთარ თავში რწმენის ამაღლება, ფსიქოფიზიკური განვითარება და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო უნარების დახვეწა.

ინდივიდუალურ შემთხვევებში, პირებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობა, ხდება დახმარება მათი უნარების დახვეწის პროცესში.

მეცადინეობები ტარდება შემდეგი სახის საკლასო ოტახებში: საოჯახო მეურნეობის, მრავალდარგობრივი, სადურგლო, თეატრალურ - მუსიკალური, კომპიუტერულ - საოფისე, პლასტიკური და კერამიკული. სხვადასხვა საკლასო ოთახებში მეთოდებისა და ტექნოლოგიების შერჩევის პროცესი დამოკიდებულია მონაწილეთა შესაძლებლობებზე და საკლასო ოთახის პროფილზე. ყოველი მონაწილე ცდილობს თერაპიის პროგრამაში დასახული მიზნების შესრულებას. თერაპიის პროგრამა იცვლება, იხვეწება და პერიოდულად ფასდება.

საზოგადოებრივი რეაბილიტაცია

საზოგადოებრივი რეაბილიტაციის ფარგლებში ხდება ტრენინგების ორგანიზება:

- თვითმომსახურეობა, პირადი ჰიგიენა, გარეგნობის მოვლა
- კულინარია
- პრაქტიკული მეცადინეობები სახლის მოვლის კუთხით
- ეკონომიის დარგში: საკუთარი საჭიროებების დახარისხება, საყიდლების დაგეგმვა, პრაქტიკული მეცადინეობები, საყიდლების შეძენის პროცესის სიმულაცია და ფულთან მოპყრობა
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის
- ასერტიულობა
- კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება
- საზოგადოებაში საკუთარი როლის შესრულება
- არავერბალური კომუნიკაცია.

პროფესიული რეაბილიტაცია

პროფესიული რეაბილიტაციის ფარგლებში ხდება შემდეგი თემატიკის მქონე ტრენინგების ორგანიზება:

- დახმარება სამსახურის, ამ სამსახურთან დაკავშირებული მოვალეობების და საჭირო უნარჩვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესში.
- მჭიდრო თანამშრომლობა ვარშავა-პოლონეთის დიეცეზიასთან, პროფესიული კონსულტაციის ცენტრთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამსაქმებელთა კავშირთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების მიზნით.
- სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლბში, მათ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობის მიღება.
- პროფესიული საკითხების კონსულტანტთან თანამშრომლობა, მეცადინეობები ავტოპრეზენტაციასა და სამსახურის მოსაძებნად საჭირო უნარების დახვეწაში
- ჯგუფში მუშაობის უნარების დასახვეწი ტრენინგი - თანამშრომლობა ჯგუფული სამუშაოს შესრულების პროცესში
- ამტანობის, გამძლეობის, სისტემატიურობის, სამუშაოს ხარისხის ესთეთიკისა და პასუხისმგებლობის ტრენინგები
- პროფესიული პრაქტიკა და სამუშაოს სიმულაცია

დაცული ბინები

დაცული ბინების შექმნის ინიციატივა გამოიწვია სარემონტო-სამოდერნიზაციო სამუშაოებმა, რომელთა ფარგლებში გაიხსნა 2 ოროთახიანი ბინა სამზარეულოთი და აბაზანით (თითოეული გათვლილი 3 ადამიანზე) და 1 სამოთახიანი ბინა ორი აბაზანით (6 ადამიანისათვის). ჯამში, ამ ფორმის მომსახურეობით სარგებლობს 12 ადამიანი.

დაცულ ბინებში ინტელექტულურად უნარშეზღუდულ პირთა განთავსების კონცეფცია თანხვედრაშია სტრატეგია ევროპა 2020-თან და ვარშავის თვითმმართველობის სტრატეგიასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეინტეგრაციასა და დასაქმების სფეროებში.

პილოტაჟი

პირველი დაცული ბინების შექმნა წარმოადგენს პილოტაჟს ამ სფეროში. პილოტაჟის ხანგრძლივობა დავგეგმეთ 15 თვით. 01.10.2015 წლიდან 31.12.2016 წლამდე

მისი მიზანია, აღნიშნული ტიპის დახმარების ფორმის გატესტვა და შედეგების გამოქვეყნება, რათა სამომავლოდ მოხდეს ამ ფორმის დახმარების პოპულარიზაცია და ახალი დაცული ბინების დაარსება.

გეგმის მიხედვით, ბინები განკუთვნილია სრულწლოვანი, ინტელექტუალურად უნარშეზღუდული პირებისათვის.

ბინებში დასასახლებლად, პირთა შერჩევის პროცესში უპირატესობა მივანიჭეთ იმ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარ ოჯახში დაბრუნების შანსი და არ შესწევთ ძალა დაიწყონ დამოუკიდებელი ცხოვრება. მათი ამოდენ მძიმე ბედიღბალის გათვალისწინებით, ვფიქრობთ რომ სწორედ ამგვარ ადამიანებს უნდა დავუთმოთ ბინები პირველ რიგში.

შეთავაზება

ბინებში უზრუნველყოფილია მაცხოვრებელთა მოვლა და დახმარება. ეს მომსახურეობა მორგებულია ყოველ მაცხოვრებელზე ინდივიდუალურად.

ბინაში შემოთავაზებული მომსახურეობები მოიცავს:

სოციალურ სამუშაოებს და პროფესიულ კონსულტაციებს, განათლებს და შეძენილი უნარების შესანარჩუნებლად საჭირო მეცადინეობებს, დახმარებას გადაადგილებაში, საზოგადოებასთან კონტაქტის რეალიზაციასა და თავისუფალი დროის დაგეგმვას, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებით.

ბინის ტერიტორიაზე დაწესებულ კანონენებს არეგულირებს: დაცული ბინების წესდება, რომელიც მოიცავს, როგორც ბინის ორგანიზების კრიტერიუმებს, ასევე მაცხოვრებელთნა მოქცევის წესებს, მათ უფლებებს და მოვალეობებს.

მაცხოვრებელთათვის გათვლილ მომსახურეობას ანხორციელებენ: სოციალური მუშაკი, 2 თერაპევტი, ფსიქოლოგი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მომვლელი-ასისტენტი.

კონტრაქტი

ყოველი მაცხოვრებელი ხელს აწერს კონტრაქტს და იღებს თავის თავზე მასში გაწერილი მოვალეობის შესრულების ვალდებულებას:

- მაქვს უფლება გამოვიყენო დაცულ ბინაში არსებული, ჩემთვის გადმოცემული სიკეთეები
- პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, მაქვს უფლება მივმართო დირექტორის მიერ დანიშნულ მომვლელებს.
- გავყვები ცხოვრებაში დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ მიმართულ პროგრამას და შევასრულებ შემდეგ ვალდებულებებს:
  - გავაგრძელებ სწავლას
  - შევეცდები დავიწყო დამოუკიდებელი სამუშაო და შევინარჩუნო ის
  - დავემორჩილები საზოგადოებაში მოქცევის ზოგად ნორმებს და დავიცავ ჯგუფში ცხოვრების წესებს
  - დავემორჩილები დაცული ბინების წესდებას
- ვეთანხმები პასუხისმგებელი პირების მიერ ბინის კონტროლს (დავალების შესრულების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.)
- დაუყოვნებლივ განვაცხადებ ყოველგვარი პრობლემის წარმოშობის შესახებ
- ავადმყოფობის შემთხვევაში მივმართავ ექიმს და მივაწვდი ინფორმაციას მომვლელს
- საკუთარ ფინანსურ სახსრებს ვანდომ სოციალურ მუშაკს
- გამოვიყენებ თანხას მხოლოდ ყოველთვიური ბიუჯეტის შედგენის შემდეგ
- ფინანსურ სახსრებს გავცემ მხოლოდ გეგმის მიხედვით. მომვლელს ააქვს გასავლის კონტროლის უფლება
- დასახლების დღიდან, ვიღებ თავზე ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომლებიც დამეხმარება დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში
- ვეთანხმები ჩემს მიერ შესრულებული სამუშაოს რეგულარულ შეფასებას

თანამშრომლობა

მაცხოვრებლების დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების პროცესისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, დავიწყეთ თანამშრომლობა ახალგაზრდული სოციოთერაპიის ცენტრთან, სახელად „KĄT (კუთხე)".

1 სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო ახალგაზრდული სოციოთერაპიის ცენტრ კუთხესთან არსებულმა საკონსულტაციო პუნქტებმა. პუნქტები დაარსდნა ვარშავის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ვარშავის საზოგადო-სასწავლო სფეროებში ინოვაციების ცენტრის ინიციატივით.

პუნქტები მიზნად ისახავს იმ ადამიანების დახმარებასა და ხელშეწყობას, რომლებიც უვლიან ან ასწავლიან განსაკუთრებული მოთხოვნების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს. ეს სამუშაოები ხორციელდება ვრშავის სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

ვსარგებლობთ ნებისმიერი სახის დახმარებით. კვირაში ერთხელ, ბინაში დასაქმებული ერთი თანამშრომელი იღებს მონაწილეობას „კუთხეში" ორგანიზებულ სოციოთერაპიულ მეცადინეობებში. კვირაში ერთხელ, „კუთხის" თანამშრომლები ატარებენ კონსულტაციებს ჩვენს დაწესებულებაში.

პოლონეთის დახმარება

The Project co-financed by the Polish development cooperation programme of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.